თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1528732

ნომერი: AR1252923

თარიღი : 02.10.2014

გაცემის თარიღი : 07.10.2014

გაცნობის თარიღი : 09.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის III მ/რ , II კვ. N40 სკოლისა და N11 კორპ. მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო რამიშვილი პ/ნ 01017012025
- თბილისი, ბახტრიონის ქ.#8

ორგანიზაცია:
- სს ფანდ ინვესთმენთ კოდი: 404418117

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე არსებული პირველი კლასის №1/1 შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ვაზისუბნის III მ/რ, II კვ. №40 სკოლისა და №11 კორპუსის მიმდებარედ, სააქციო საზოგადოება "ფანდ ინვესთმენთ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №010/005) მდებარე I კლასის №1/1 შენობა-ნაგებობის დემონტაჟს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882014383246 21.07.2014წ. საკადასტრო კოდი №01.17.06.010.005, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ვაზისუბნის III მ/რ, II კვ. №40 სკოლისა და №11 კორპუსის მიმდებარედ, სააქციო საზოგადოება "ფანდ ინვესთმენთ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №010/005) მდებარე I კლასის №1/1 შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge